შპს „ჯორჯია მეტალ“
ს/კ: 430037239
მის: ზესტაფონის რ.ნი სოფ. არგვეთა
საფოსტო კოდი:2000
ტელ:(995) 598981121
Email: georgiametalllc@gmail.com

Georgia Metal LLC
ID N430037239
Address: Argveta, Zestafoni, Georgia
Postal/zip code: 2000
Tel: (995) 598 98 11 21
Email: georgiametalllc@gmail.com

GM/19.05.2022 -001

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქ-ბნ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2022 წლის 28 მარტის N3010/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.არგვეთაში მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლოატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, გაცნობებთ შემდეგს:

სოფ. არგვეთას მოსახლეობა მუდმივად იყო ინფორმირებული საქმიანობის განხორციელების შესახებ. მათ მიერ პერიდულად გამოითქმებოდა ზოგადი მოსაზრებები დასაბუთების გარეშე. ჯერ კიდევ 2020 წელს მათ მიერ გამოითქვა მოსაზრება,რომ საწარმოს მიზნებისათვის საჭირო წყლის მოპოვება იწვევდა მოსახლეობის ჭებში წყლის დაშრობას. აღნიშნულის აბსურდულობის დასტურია კომპეტენტური ექსპერტების დასკვნა, რომ „შპს „ჯორჯიან მეტალის“ ტერიტორიაზე განლაგებული, მოქმედი და მომავალში საპროექტო ჭაბურღილების ექსპლუატაციის პროცესში, მათი ზემოქმედება საყოფაცხოვრებო ჭებზე გამორიცხულია, რადგან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ჭების გრუნტის წყლის ნაკადის უმეტესი ნაწილის განტვირთვა ხდება შპს „ჯორჯიან მეტალის“ ტერიტორიის გვერდის ავლით, მისგან დასავლეთით, რომლის დრენირებასაც ახდენს მდ. ყვირილა“(იხილე გზშ-ს ანგარიშის დანართი4).

ამჟამად, როგორც თქვენი წერილიდან ირკვევა, „მოქალაქეების განმარტებით, საწარმოს ტერიტორიაზე განხორციელებულმა სამშენებლო სამუშაოებმა გამოიწვია მათი საცხოვრებელი სახლების დაზიანება (კედლების დაბზარვა“) თუმცა რაიმე მტკიცებულობა არ არის წარმოდგენილი. თუ მათ მიერ იქნება წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა, მზად ვართ განვიხილოთ კომპენსაციის საკითხი.

გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვისას, 2022წლის 26 იანვარს, მოსახლეობამ მოითხოვა გამართულიყო შეხვედრა შპს „ჯორჯია მეტალის “ ხელმძღვანელობასთან. საწარმოს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ (შეხვედრა შედგა 2022 წლის 27 იანვარს) პროექტის მენეჯერი ბ-ნი ნოდარ კვარაცხელია და დირექტორის მოადგილე ბ-ნი გიორგი ანთაძე. მოსახლეობის

№ 12956
23 05 2022
2/5

ძირითადი მოთხოვნა იყო უპირობოდ ფულადი ანაზღაურების მიღება. საწარმოს წარმომადგენლებმა მოსახლეობას შეთავაზა სამუშაო ადგილები. დღეისათვის შესაძლებელია დასაქმება ელექტრო შემდუღებლის, ელექტრიკოსის, მემონტაჟის დამხმარეს შტატში. ამჟამად „ჯორჯიან მეტალში"დასაქმებულია სოფ.არგვეთის მცხოვრები 7 ადამიანი".

რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადების შემოტანისა და გატანის სიხშირეებს მარშრუტის მითითებით და გეგმა-გრაფიკი, საკითხი დეტალურადაა განხილული გზშ-ს ანგარიშში §6.4-მისასვლელი გზები; §10.3.10. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და §10.3.10.1 სატრანსპორტო ნაკადები. რაც შეეხება „პროდუქციის ძარაგადახურული სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირებას, ამის განხორციელება არ არის საჭირო და შეუძლებელიცაა, რადგან პროდუქციას წარმოადგენს არმატურა (ძირითადად 12 მ-ს სიგრძის) და მისი ტრანსპორტირებისას არ არის მოსალოდნელი ამტვერება. ნედლეულის შემოზიდვა ძარაგადახურული სატრანსპორტო საშუალებებით განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა ფხვიერი მასალის შემოზიდვა.

მოთხოვნის შესაბამისად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში შესათანხმებლად წარდგენილი იქნა შპს „ჯორჯია მეტალ"-ის დაგეგმილი სატრანსპორტო ნაკადების ანალიზი, ინფორმაცია ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული გზების შესახებ და ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (დანართი1).

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022წლის 17 მაისის ნომერ 22-2222137107 წერილით გვეცნობა, რომ მერიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ შპს „ჯორჯია მეტალმა" ავტოტრანსპორტის გამოყენებით გადაადგილოს ტვირთები წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად (დანართი2).

პატივისცემით

შპს „ჯორჯია მეტალ"-ის

დირექტორის მოადგილე: გ. ანთაძე.